გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მანუჩარ ლაფაჩის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 232 საკითხის განხილვაში. ბიუროს 19 სხდომას და 393 საკითხის განხილვაში მივიღე მონაწილეობა.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოში". დავესწარი ფრაქციის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 156 საკითხის განხილვაში.

ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჩავატარე 10 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 55 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი. დავესწარი 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 77 საკითხის განხილვაში.

დამატებით ვარ გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი.

ვარ პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს რა დროსაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რაზეც მოვახდინე რეაგირება. ჩემს მაჟორიტარულ ოლქში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და სამოქალაქო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა და იგეგმება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება, კერძოდ :

სოფელი სკრა :

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სასმელი წყლის დებეტის გაზრდის მიზნით გაიწმინდა და გაფართოვდა სოფელი სკრის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა.
- სოფ. სკრაში (ზემო სკრა) 1,7კმ შიდა საუბნო გზებზე დაიგო ასფალტის საფარი.
- სოფ. სკრაში სამოქალაქო ბიუჯეტისა და სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში გამოყოფილი ერთობრივი თანხით მოეწყო მინი ფეხბურთის მოედანი.

- სოფ. სკრაში მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით მოეწყობა სანიაღვრე არხი.
- სოფ. სკრაში მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა სავარჯიშო ტრენაჟორები (სამოქლაქო ბიუჯეტით)
- სოფ. სკრაში მიმდინარე წელს მერიის დაფინანსებით მოეწყობა სანიაღვრე არხი 500 მ-ზე

სოფელი დიდი გორიჯვარი:

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყო საბავშვო სკვერი
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოხდება საბავშვო სკვერის გაფართოება
- დაიგება შიდა საუბნო გზებზე ბეტონის საფარი

სოფელი პატარა გორიჯვარი:

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეძენილ იქნა მინი სატუმბი სადგურისათვის სარწყავი მილები.
- სამოქალაქო ბიუჯეტით დაგეგმილია მინი სატუმბი სადგურის მოწყობა
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყობა სანიაღვრე არხი

სოფელი კოშკები:

- სამოქალაქო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებით მოეწყო 500მ.-ზე სანიაღვრე არხი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შეძენილ იქნა სარწყავი არხის მილები.
- სოფელ კოშკებში მოხდა გაზიფიცირება.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოხდა გზის რეაბილიტაცია. კაბულაანთ უბნამდე მისასვლელი გზის მოხრეშა.
- მოიხრეშა სოფ. კოშკამდე მისასვლელი გზა და ასევე სოფლის შიდა ცენტრალური გზა.
- სოფ. კოშკებში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი და შიდა ქსელი (82 ოჯახი ინდივიდუალურად მიიღებს წყალს)

სოფელი ბეთლემი:

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით მოეწყო სანიაღვრე არხი
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით მოეწყო მინი ფეხბურთის მოედანი.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყობა სანიაღვრე არხი.
- სამოქალაქო ბიუჯეტით მოეწყობა სავარჯიშო ტრენაჟორები.

სოფელი რიეთი:

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყო საბავშვო სკვერი.
- მოხდა სოფ. რიეთის გაზიფიცირება.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოხდება საბავშვო სკვერის გაფართოება
- სოფ. რიეთში დასრულდება სასმელი წყლის ჭაბურღილიდან მომარაგების და წყლის სისტემის ქსელის მოწყობითი სამუშაოები (სასმელ წყალს მიიღებს 79 ოჯახი).

სოფელი ტინისხიდი:

- სოფ. ტინისხიდში დასრულდა საბავშვო ატრაქციონებისა და ტრენაჟორების მოწყობა სამოქალაქო ბიუჯეტით.
- სოფ.ტინისხიდში მიმდინარეობს 680 მ-იანი, სასაფლაოსთან მისასვლელი ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა.
- სოფ.ტინისხიდში მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობის რემონტი (სამოქალაქო ბიუჯეტით)
- სოფ.ტინისხიდში იგეგმება ატრაქციონების მოწყობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.
- სოფ. ტინისხიდსი იგეგმება ტრენაჟორების მოწყობა სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში.

სოფელი თედოწმინდა:

- სოფ. თედოწმინდაში მიმდინარეობს საბავშვო ატრაქციონების მოწყობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.
- სოფ. თედოწმინდაში იგეგმება სოფლის საცალფეხო ხიდის აღდგენა.

სოფელი ორთაშენი:

- სოფელ ორთაშენში მიმდინარეობს სასაფლაოს შემოღობვა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.
- სოფ. ორთაშენში სამოქალაქო ბიუჯეტით მოეწყობა ტრენაჟორები.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში და პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მანუჩარ ლაფაჩის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. სკრა 2022 წლის 25 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევფრი: მანუჩარ ლაფაჩი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: სკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ირინა შენგელია;

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მანუჩარ ლაფაჩის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მანუჩარ ლაფაჩი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მანუჩარ ლაფაჩს რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების

მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მანუჩარ ლაფაჩმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: მარლენ ნადირაძემ, რევაზ ქერდუყაშვილმა, გიორგი მწარიაშვილმა და არჩილ მეგრელიშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: მარლენ ნადირაძე;

საკრებულოს წევრი : მანუჩარ ლაფაჩი.